

3. თ რ უ ზ რ ი ა

ფონეტიკური დაპვირვებანი ქართველურ
ენებში

I

გზებით მოვლენათა თანამიმდევრობა

ტფილისი 1926 Tiflis.

კოლიგრ. ტრესტის I სტამბა

დაიბეჭდა 50

მთავ.ლიტ. 250

ფონეტიკური ლაქვირებაანი ქართველური ენებში

I

გზაგით მოვლენათა თანამიმდევრობა*

I

ჩვენი წერილის მთავარ საგანს შეადგენს ქართველური ენების ზოგიერთი სიტყვის ისტორიის გათვალისწინება, დაწვრილებით წარმოდგენა ყველა იმ ბგერით მოვლენათა, რომელთა თავისებური დაჯგუფების მეოხებით ესა თუ ის სიტყვა ზოგადი ფონეტიკური წესიდან განხრილა და „გამონაკლის“-ის სახელწოდება დაუმსახურებია. აქ მოყვანილი მასალა მხოლოდ ნაწილია იმისა, რის დაგროვებაც საერთოდ შესაძლებელია: აღნიშნული ენების შედარებითი თვალსაზრისით შესწავლა მათ რიცხვს უთუოდ გაადიდებს და მოცემულ სათაურს ქვეშ ამ პირველ წერილს ალბათ სხვებიც მოჰყვება...

მაგრამ ჯერ, ვიდრე პირდაპირ საგანზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია ქართველური ენების შედარებითი ფონეტიკიდან ზოგი რამ გავითვალისწინოთ. მით უმეტეს, როცა, ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, ამ ენების ძრათუ მთლიანი და ჩამოყალიბებული შედარებითი ფონეტიკა არ მოგვეპოვება, არამედ ბეჭდური მასალების მიხედვით ელემენტარ ნაწილზედაც სრული წარმოდგენის მიღება ჭირს¹. რამდენადაც

* წაკითხულია მოხსენებად „ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 1925 წლ. 24 ნოემბერს.

¹ პროფ. ალ. ცაგარლის თაყის დროისთვის მნიშვნელოვან ნაკვლევს Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб. 1872, მხედველობაში ვერ მივიღებთ, რადგანაც იგი მორფოლოგიის მიმოხილვას შეიცავს და არა ფონეტიკისას.

მეგრულ-ქართულ ბგერით შესატყვისობათა დადგენაში პროფ. ალ. ცაგარლის *Мингрельские этюды* მეორე ნაკვეთს *Опыт фонетики мингрельского языка* (СПб. 1880) დავეყრდნობით, იმდენად შეუძლებელია სვანურ-ქართულ თუ სვანურ-მეგრულ შედარებით ფონეტიკაში ვისმეზე დამყარება. მართალია, ამ მხრივ აკად. ნ. მარჩი ნაკლს აესებს და ზოგჯერ თავის ნაშრომებში ამ ენათა ბგერით ექვივალენტებს იძლევა, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში! და თუ ანგარიშს გავუწევთ იმ მდგომარეობასაც, რომ აკად. ნ. მარჩის მიერ მოცემული ეს მცირე ცნობები გაბნეულია მის უამრავ წერილებში, რომელთა თავის მოყრა გარკვეულ დროს მოითხოვს, ერთის მხრით, და, რომ მეორის მხრით, მის მიერ დადგენილი ფონეტიკური შესატყვისობანი ხანდახან ისე მერყევი და არადამაჯერებელი არიან, როგორც ხშირად მისი ეტიმოლოგიები, დაეინახავთ იმ საქიროებას, რომლის გამო ჩვენ იძულებული ვხდებით ქვემომოყვანილ ბგერათა შედარება მოვახდინოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში აღვილი შესაძლებელია გამოთქმული მოსაზრებების შესახებ იქვე დაიბადოს.

მაგალითები შედარებიდან ¹:

1. ქართ. დ = სვან. დ = მეგრ. (-ქანურ *დ >) თ:

1. დაფი (ძვ.-ქართ. დაფი) = ს. დჷმღჷ = მ. თუნთი (აქ ნჩარ-

¹ წერილში ხმარებულ შემოკლებათა გახსნა:

აკად. ნ. მარჩის წიგნათვის: 1. გრ. დრ.-გრუზ. яз. = Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград 1925.

2 Извл. св.-рус. сл = Извлечение из сванско-русского словаря, Птрг. 1922.

3 Гр. чанск. яз. = Грамматика чанского (лазского) языка, СПб. 1910.

4 Др. гр.-р. сл. = Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, СПб. 1913.

5 Поездка в Св. = Из поездок в Сванию: Христианский Восток, т. II, в. I, СПб. 1913.

თულია, რაც მეგრულის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს); სამაგიეროდ ქანურში გვაქვს თეთი, მ:თუთა.

2. შვიდ-ი (ძვ.-ქართ. შვი) = ს. ი-შვიდ (Поездка в Св., 19; Пол. абх. яз., 7) = მ. შქვით-ი (ქან. შქვით, შქით).

3. მ-ღარე = ს. ხო-ღრა ('ცული'; სვანურს ეს სიტყვა შედარებით ხარისხში შეუნახავს. ეგების იგი ქართულიდან არ იყოს ნასესხები).

4. ქურდ-ი = მეგრ. ქვირა-ი (აქედან სვანურში უნდა იყოს შესული, სადაც ქვით'ისა ('ქურდი') და ლიქქუაქ'ის ('ქურ. ღობა') სახითაა დაცული).

5. ცველ-ი, ცველანი = მ. ჩუთუ¹...

6. ТР = Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

7. ЯЭ = Яфетические элементы в языках Армении.

8. Опр. Ах.² = Определение языка второй категории ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, СПб. 1914.

9. Пол. абх. яз. = К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб. 1912 და

10. Отн. абх. яз. = П. Ч а р а я, Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб. 1912.

11. Гр. минг. яз. = И. К и п ш и д з е, Граммат. мингрельского (иверского) языка, СПб. 1914.

12. სვან. ტექსტები = არსენაძე ვონაძე, ლუშნუ ამბუარ ლე-ლა: მხუ შუმი ნინშუ, პეტროგრად 1917 და სხვადასხვ.

სვანური მაგალითები უმთავრესად ბალსზემოურიდან მოგვყავს.

¹ აკად. ნ. მარის მაგალითი სვან. „ლიშქაღი“ ('ქედვა'), — რომლის... основа шкд [в тубал-кайнских яз.] предлежит с закономерным подъемом ш в к, так чан. კკად (ათ. კად)... [ქართ.] ქედა (ЯЭ, I, 145) — სხვადასხვა მოსაზრების გამო ზევით არ შევიტანეთ. შეიძლებოდა აგრეთვე ამ შესატყვისობის შემავრება მორფოლოგიური ფორმანტებით, როგორცაა მაგ. მიმართულებითი ბრუნვისა, ნამყოუსრულისა და ოპტატივის დ (უკანასკნელისათვის იხ. Пол. абх. яз., 25) და სხვ., მაგრამ მორფოლოგია სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს და ჩვენც ამიტომ გვერდს ვუვლით მას.

2. ქართ. თ = სევან. შდ = მეგრ. (-ქან.) თ:

1. თავგი (ძვ.-ქართ. თავჯ) = ს. შტუგჷ = ქან. თუგი (თუჯი, მ-თუგი—ლიალექტური ვარიაციით; მეგრულში ამის კანონზომიერი ექვივალენტი არ მოგვეპოვება).

2. თხილი = ს. შდის = მ. თხირი (ნ. მარი, Яфетич. назв. дерев. и раст., Пгг. 1915, გვ. 827, შნშ. და Где сохр. св. скл., 1201).

3. დათვი = ს. დანდჷ = მ. თუნთ-ი (იხ. ზემოთ 1, 1).

4. სევან. შდა ღღეს ხორბლეულის (resp. მცენარის) 'თავ-თავ'ს, 'უევილ'ს აღნიშნავს, მაგრამ რომ მას პირველად 'თავ-ის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ეს მტკიცდება ერთას მხრით ჩერშდა კომპოზიტით, სადაც პირველი ნაწილი ჩერი—ცალკე აღებული—'თითისტარ'ს უდრის (შდ. ჩერია), ხოლო ჩერშდა¹—'ჩერიის თავ'ს, 'კვირისთავ'ს და მეორის მხრით შდაშუ სიტყვით (რომელიც მოქმედებით ბრუნვას წარმოადგენს და უდრის ქართ. 'თვთ'ს; შდ. Извл. св.-р. сл., გვ. 6, კვ.'ს ქვეშ და სევან. ტექსტები, 72₁); ამის შესატყვისი ქართულში ჩვენამდე ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში გაქვავებული სახით მოწყული 'თვს, თვთ'ის *თუ ძირი უნდა იყოს, ხოლო მეგრ.-ქანურით თი ('თავი': თი-შანდილანი — თავმანდილიანი, ქალი; თი-ტეტელა--თავტიტველი; თი-მჩხუ—თავმსხვილი „важ-ный, знатный“ და სხვ.; იხ. ქან. და მეგრ. ლექსიკონები. შდ. Отн. абх. яз., 42, 39; Опр. Ах²., გვ. 65; Др. гр.-р. сл., გვ. 9, 1. თვთ; Гр. др.-гр. яз., გვ. 93-95)².

¹ ალბათ აქედანაა მსხლის „ჩერეშტოლ“ სახელწოდება წარმოებული, რაც არს. თნიანის სიტყვით „ჩერა მაჯონ იცხ“ არის („თითისტარის მსგავსი მსხალი“; იხ. მეგმარეშ ი ბალხარე ეახლე ხორავ, პტგ. 1917, გვ. 3).

² წერილის დამძიმების შიშით სრულებით არ ვეხებით აკად. ნ. მარის მსჯელობას „თუ, დუდი, თავ“ის ურთიერთობისა და *თვთ'ის ძირის აღდგენის შესახებ. საქმის ვითარება ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი...

5. ათ-ი = ს. ა-ეშდ = მ. ვით-ი (ამის შესახებ იხ. ჩემი „ოცობითი თელის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ. უნ. მოამბე, VI, გვ. 295, შნშ. 3).

6. ხუთ-ი = ს. ჟოხჟიშდ (< *ხუშდ; ჟო- ჟი-ჟოხჟის ანალოგიით უნდა იყოს დართული *ხჟიშდ¹) = მ. ხუთ-ი (ქან. ხუთ).

7. თიბჟა = ს. ღი-შდჰ (‘მუშაობა’ს ნიშნავს საერთოდ) = მ. თიფჟა, ქან. თიფჟა. სვანურში, როგორც ვხედავთ, სემასიური მნიშვნელობა გაფართოებულია. მოთიბული ბალახის სახელწოდება მეგრულ-ქანურში თიფი გახლავთ, რომლის ექვრვალენტი ქართულში *თიბი უნდა ყოფილიყო და არა თიბა [შდ. ქლიბი — ქლიბჟა; ბარი — ბარჟა; *თიბი — თიბჟა (სათიბელი ქუეყა. ნაჲ: გრგ. ხანძთ., ია. 10); *თიბი — თიფი; ღებჟა — ღაფჟა...]¹.

8. თოჯს = ს. შდუჟე = მ. თუნს (ქან. თუმს, მ-თუეს) სვანურ-ქანურის მიხედვით ძირად *თჟ უნდა მივიღოთ. მართალია, ჟ აწმყოს ჯგუფში -უნ, -უმ (მეგრ.-ქან.) და -ოჯ (ქართ.) სუფიქსების დართვის წყალობით გვეკარგვის, მაგრამ დაცული გვაქვს ქან.-ის ნამყოსრულის მიმღეობაში: თჟ-ირი, მ-თჟ-ირი, სადაც -ირ-ი ვნებითი გვარის ნამყო სრ. მიმღეობის მაწარმოებელია. მეგრული უფრო შორს წასულა იგი ძირეულ ჟ’ს მიმღეობაშიაც ჰკარგავს: თ-ირი (‘თოვლი’), მაგრამ არა მართლამ სიტყვაში, არამედ სხვებშიაც (შდ. ქჟ-ირი || ქ-ირი ‘ფქვილი’). თოჯა’ში -ოჯ რომ მართლაც სუფიქსია და არა ძირეული, ამაში ჩვენ კვემოთ დავრწმუნდებით. რაც შეეხება თოჯდ ნომენს, იგიც მეგრული თირის მსგავსად ნამყოსრულის მიმღეობას წარმოადგენს, მაგრამ -ილ სუფიქსის ნაცვლიად -დ’თ წარმოებულს. თანაბარი მაგალითი საკმაოდ მოწეულა ჩვენამდე: თესლი, კუმლი, ღუაწლა... (ამათ შესახებ მაშინ ვიმსჯელებთ, როცა „ქართველური ენების სრულს ხოვანება“ზე გვექნება ბაასი (შდ. П. П. а. н. х. я. з., 28)...

¹ რაც შეეხება სვან. „ლი-თი“-ს (‘მკა’), შეიძლება სესხების გზით ქართ. „თიბჟა“-საგან იყოს მიღებული.

3. ქართ. შ = სვან. სგ (|| შგ) = მეგრ. სქ (|| შქ):

1. ვაშლი = ს. ჭისგუჭ (< უსგუჭ) = მ. უშქური (ქანურში ოშქურიც არის; იხ. Где сохранилось сван. скл.: ИАН 1911, გვ. 1201 და Яф. назв. дер. и раст., 825).

2. შენი = ს. ი-სგუ = მ. სქანი (მეორე პირის ნაცვალსახელისთვის იხ. Извл. св.-р. сл., 28, სი).

3. შუბლი = ს. სგობინ ('წინ': Где сохр. св. скл., 1203, შნშ. 2).

4. შუა (< შოყა: ხელნ. № 1147) = ს. ი-სგა = მ. შქა.

5. შვიდი = ს. ი-შგჭიდი = მ. შქვითი (იხ. ზემოთ 1, 2).

✓ ი. სვან. შგორი = მეგრ. შქერა (ქართულში ეს სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს შემოტანილი).

7. სვან. ღი-ფშგე ('გახსნა', ნაფიშგუჭ — 'ნახსენი'; ძირია: ფიშგ) = მეგრ. ფაშქუა, ფეშქუა (ფეშქვინია 'ბატიბუტი').

8. სვან. ღი-შგდე (< * ღი-შგედე) = მეგრ. შქიდირი ('კაღრება'); აქედან უშგდა = უშქიღარი ('უკაღრისი')¹...

4. ქართ. გ = სვან. (*გ ||) ჯ = მეგრ. (-ქან.) გ:

1. იგი = ს. ეჯი, ეჯა (Сравн. обз. морф. ибер. гр., 10 და Пол. аѣх. яз., 21).

2. გბობა, გბოღვა = ს. ღი-ჯაბ = მ. გიბუა (რაც მეგრულში აბელას ხარშვა-მზადებას ნიშნავს, ხოლო ქანურში ოგისუ, ოგუბუ = 'ხარშვა'ს).

3. გველი = ს. ჭიჯ = მ. გვერი (ნახესხებია ქართულით).

4. რგვა (ნე-რგ-ი) = ს. ღი-ღჯენი = მ. რგუაფა.

5. ჭგაფს = ს. ხაჯეშ (ღი-ჯონე) = მ. გუ...

5. ქართ. ს = სვან. შ = მეგრ. (-ქან.) = შ:

1. ასი = ს. აშირ = მ. ოში (შდ. ЯѢ., I, 145).

2. ასე = ს. აშ = მ. აში || თ-აში.

3. სვან. -შაღ = მ. შორთ (ნინშაღ — ნინაშორთ 'ენასავით')

¹ ქართ. შ და სვან. შგ'ს შესატყვისობისათვის იხ. Яф. назв. дер. и раст., 829, შნშ. 1.

4. სიუება = ს. ღი-შიე = მ. შინაფა.

5. სუნება = ს. ღი-შეშინე || ღი-შექმ (ფუძეა: შამ) = მ. შვანდა (|| სვანჯა).

6. შისუამს = ს. შნშუა = მ. შიშუმუ (სვანურ-მეგრულით ძირია *შუ, ქართულით კი *სუ: სუმა (სუ-ამ-ს), შუ-შა; იხ. ОTH. ანх. яз., 23)...

კმარა. ეს ნაწილი ისედაც გაგვიგრძელდა. როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ჩვენ სრულებით არ მოგვიყვანია აქ ხმოვანთა შესატყვისობა. ეს განგებ ჩავიდინეთ: ხმოვნების საკითხი თანხმოვნებთან შედარებით გაცილებით რთულია; იგი სპეციალ-შიმოხილვას საჭიროებს. ამჟამად კი ჩვენი მიზანი შემოფარგლულია და ამით აიხსნება, როგორც მასალის ასე მკირე ოდენობით წარმოდგენა, ისე გვერდის ახვევა ისეთი დიდი საკითხისათვის, როგორიცაა აკად. ნ. მარის გამოთქმით ე. წ. „თუბალ-კაჯნური ფენის არსებობა სვანურში“ (იხ. Тубал-кайнский вклад в Сванском, СПб. 1912 და სხვა წერილები). მოყვანილი შედარების გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ქვევით საანალიზოდ დაგროვილი მასალა სწორედ იმგვარივე ხასიათისა და ბგერითი შედგენილობისაა, როგორც ზემო სახელდახელოდ შერჩეული მაგალითები. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, თუ ჩვენ ამ წერილში არ ვიმსჯელებთ სვან. ჟ'სა და შ'ს გენეტურ ბუნებაზე: პირველი (ჟ) მართლა იგივე გაპალატალებული გ'ანია თუ არა, ან სვანური შ'ინიანი სიტყვები მეგრულიდან შემოხიზნულია თუ არა. შემოხსენებულისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ჩვენ ცალკე დავუბრუნდებით და დაწვრილებით განვიხილავთ...

. II

ამგვარი წინასწარი შემზადების შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ საგანს შევეხოთ და შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რომელთა შეხვედრის წყალობით ზოგი სიტყვა იმდენად შეცვლილა, რომ დღეს სულ

სხვა სახით გამოიყურება. მათი პირვანდელი ფორმის მისაღებად საჭიროა მხოლოდ შედარებით-ისტორიულ მეთოდს მივმართოთ.

ბ. ასიმილაცია.

მეზობელ ბგერათა შორის დამსგავსება ქართულში ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული. მაგრამ უფრო მეტი გავრცელება მოუპოვებია მას კილოებში, განსაკუთრებით კი გურულში (საინდნაც შეიძლება ასეთი მგალითების დასახელება: ფხარი (< მხარი); ვინცხა, რაცხა (< ვინც + ლა, რაც + ლა); წახთა (< წახდა < წაქდა); გუშხამ (< გუშლამ: Гр. др.-гр. яз., 113); ხფო (< ხბო < კბო);... აგრეთვე ბუჩავი (< ბეთშავი < ბედშავი: Гр. др.-гр. яз., 016) და სხვადასხვა მრავალი). სვანურს კი ასიმილაცია მანკლდამანკ არ ახასიათებს; მაგრამ არის ერთი შემთხვევა სვანურში, რომელიც თავიდან ბოლომდე გატარებულია: ეს გახლავთ დ'ს ხ'სთან დაყრუება, ე. ი. თ'დ ქცევა, დამსგავსება.

აი მაგალითიც: ზემოდაღგენილი ფონეტიკური შესატყვისობის თანახმად

1. ქართ.-მეგრ. ოთხ'ისა და ჰან. ოთხ'ის გვერდით სვანურში ჟრ'შლხჟ (სადაც ჟ რ'ს წინ განვითარებულია; შდ. ფ-ოთხი) უნდა ყოფილიყო, გვაქვს კი ჟრ'შლხჟ. ცხადია, აქ ასიმილაცია მომხდარა დ'ისა ხ'სთან. ამ სიტყვის პირვანდელი სახე იქნებოდა *რ'შლხჟ, რაც სწორად აქვს აღდგენილი აკად. ნ. მარს (იხ. Извл. св.-р. сл., 18) ¹.

2. ბალსზემოურად 'წიხლი' იქნება იშლჟ, ხოლო ქვემო-სვანურად — იშლხჟ (Извл. св.-р. сл., 33). უკანასკნელში ხ'ს დართვით წინამავალი დ დაყრუვდა... მაგრამ ასეთები არ გვაინტერესებს. ჩვენთვის გაცილებით უფრო საყურადღებოა სხვადასხვა ბგერითი მოვლენების შეხვედრა. განვიხილოთ

¹ აქ ვერ გამოვეყიდეით აკად. ნ. მარსისთვის „ოთხ'ისა და „ბორდღვა || ფორთხვა...“ს შორის შესაძლებელი კავშირის განხილვას (Др. гр.-р. сл., 8; Гр. др.-гр. яз., 77).

ბ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ.

სათაური გულისხმობს, რომ ერთსადაიპავე სემასიურ ერაუელში ჯერ რედუქციას უნდა ჰქონდეს ადგილი და შემდეგ ხმოვნის დაკარგვის გამო შემთხვევით შეხვედრილ ორ თანხმოვანს შორის ასიმილაციას. მაგალითისათვის ავილოთ სვანური სიტყვა შდის, რომლის ფონეტიკურ-სემასიური ექვივალენტი 'თხილი'ა. თუ ამას ჩვენ ხმოვნით დათავებულს (თავში) ან ხმოვნით დაწყებულს (ბოლოში) ფორმანტს წაეუმატებთ, მაშინ იდაკარგება და დაშეზობლებული ღს > თს'დ, როგორც ამას ზემომოყვანილი მასალა გვიჩვენებს. მაგრამ კითხვა იზადება, თუ რატომ უნდა დაერთოს ასეთი ფორმანტი? პრაფ. აკ. შანიძის განმარტებით "რედუქცია... იმაში მდგომარეობს, რომ უკეთეს პრეფიქსი ხმოვნით თავდება და მაშასადამე მისი მარცვალი ღიაა ბოლოში, იგი ჩვეულებრივ ფუძის დასაწყის თანკმოვანს მოიკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე უმეშვეოდ მომდევნო კმოვნის ამოღება ფუძიდან. ხოლო როდესაც სუფიქსი კმოვნით იწყება და მაშასადამე ღიაა თავში, მაშინ იგი წინამძველ ფუძისეულ თანკმოვანს მიიკრავს ხოლმე და ამით წინამძღოლ ფუძისეულ კმოვანს ამოიღებს ხოლმე" ("წელიწადის ეტიმოლოგიისათვის": ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწადი, I—II, გვ. 7). მაგრამ მიუხედავად ამგვარი პირობის დაცვისა, სვანურში სხვა ვითარებაც არის გასათვალისწინებელი; სახელდობრ ის, რომ სვანური, რომელსაც უადრესად განუვითარებია ხმოვნის შეკუმშვა-დაკარგვა, რედუქციას ერთმარცვლიანებში არ ახდენს, რაც აქვე მაგალითებით შეიძლება განვამტკიცოთ: კან ('ხარი'), კან-ან, კან-იმ; ჭიშ ('ფეხი'), ჭეშ-ან, ფეშ-ან; ქარ ('სახლი'), ქარ-ან (< ქარ-ან); ცხეკ ('ტყე'), ცხეკ-ან, ცხეკ-იმ და სხვ. ამ მხრით სვანურსა და ქართულს შორის დიდია განსხვავება და იგი, რასაკვირველია, ცალკე საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს. სვანურში რომ რედუქციას დაურჩეს ადგილი, საჭიროა სიტყვა უსა-

თუოდ ორ- ან მეტ-მარცვლიანი იყოს, ანდა ერთმარცვლიანი— გასამმარცვლიანდეს, ე ი. პრეფიქსი და სუფიქსი დაერთოს (იგულისხმება ხმ.ოვნით დათავებული პრეფიქსი და ხმ.ოვნით დაწყებული სუფიქსი!). ასე ემართება ჩვენს შდის'საც.

1. შდახ ('თხილი'), ხოლო შდისინდ || შდესინდ ('თხილის ხე'); თუ უკანასკნელს მწარმოებელ ლე-პრეფიქსს დაეურთავთ, მაშინ ი დაიკარგება და ზემოთქმულის თანახმად დხ—თხ'ს მოგვცემს: *ლე-შდისინდ > *ლე-შდსინდ > ლეშთხინდ და ეს უკანასკნელი გვაქვს კიდევ. სწორედ ასეთივე გზითაა მიღებული სოფ. იფარს ახლო მდებარე ადგილის საკუთარი ლეშთხუფ (< *ლა-შდის-უფ) სახელი.

2. ღი-შდეს'ს ('შემოღევა, შემცირება, დაკლება') მიმატებული მრავლობითობის მაჩვენებელი -ლ სუფიქსი (ან სხვა ფორმანტი) იქცევა ღიშთხ'ლ'ად (< *ღი-შდეს-ლ), რაც მართლაც ასეა ხმარებაში.

3. 'დამარხვა, დასაფლავების' აღმნიშვნელი სიტყვის ძირი სვანურში *შდუხ-ჟ || *შდუღ-ჟ რომ არის, ამას ცხადად ამტკიცებს ნამყარულის მიმღეობა: ნაშდუღჟ || ნაშდუხ(ჟ)¹ ('ნამარხი'). ქვემოსვანურში თუ მას ზემოაწერილის მსგავსს ფორმანტს დაეურთავთ, მაშინ რედუქციამილი ჟ მომღვენო ჟ'ს გავლენით დაიკარგვის და დ და ხ ერთურთს შეხვდება, რაც საკმაო პირობაა პირველის თ'დ ქცევისა: *ღი-შდუხჟი > *ღი-შდჟს'ჟი > *ღი-შდს'ჟი > ღი.შთხ'ჟი. ეს უკანასკნელი (და მისთანები: ხუა-შთხ'ჟი 'ემარხავ', მიშთხ'ჟა 'მიმარხავს'...) გ. ფოჩიანის მო-

¹ ბალსზემოურში ძირეულად ღ'ა მიჩნეული, ხოლო ქვემოსვანურში ხ. ამიტომ დასადგენია მისი პირვანდელი სახე. ვინიციობაა დამტკიცდა, რომ პრიმარი ხ'ანია, მაშინ დაისმება საკითხი „შდუხჟ“-სა და ქართ. „თხ(ა)რა“ და მეგრ. (-ქან.) „თხორუა“ს ურთიერთობის შესახებ. თუ სვანურის ფონეტიკური სატყვისი *თvხ [v = vocalis, რითაც ჩვენ ჯერჯერობით აღუდგენელს (ა'ა, ე'ა, ო'ა, თუ სხ.) ხმოვანს აღწენიშნავთ] „თხ(ა)რა“ში არ აღმოჩნდა, მაშინ ეგების მოიძიოს „თხ.უნ-ელ-ა“ში (?). ერთი კი ამ თავითვე ცხადია, რომ მას არათფერი საერთო უნდა ჰქონდეს „თიკა“ და „თოკ“თან.

წმობით მართლაც ასე ყოფილა გავრცელებული ლაშხეთში; ამიტომ გამოთქმის დაცვის თვალსაზრისით და ჩვენი წესის მიხედვით შეცთომად უნდა ჩაითვალოს ბ-ნ არსენ ონიანის მართლწერა: ლაშდხჷლ, ჩჷაშდხჷის, ჩუღუშდხჷან... (იხ. მისი სევან. ტექსტები, 34₆, 37_{24, 31...}).

4. ზეტჷან ('პაიქი') თავის ფორმით — -ან დაბოლოებით — თუ dualis არა, მრავლობითი რიცხვი მაინც არის; წინააღმდეგ შემთხვევაში (-ან რომ ძირის კუთნილება ყოფილიყო) რედუქციას ადგილი არ ექნებოდა. დღეს იგი შესისხლხორცებულია და ფუძისეულად მიიჩნევა. ამ სიტყვის ძირი *ზედჷკ || *ზედჷკ რომ არის, ეს შემდეგი მაგალითებიდან ირკვევა: ზეტჷან || ზეტჷანჷში — პირველი ხმოვანია ე; ლუზდჷკჷან ('საპაიქე'), უზდჷკჷან ('უპაიქო'), ლუზდჷკჷანჷში ('პაიქიანი') — ე მეორე ხმოვანია (პირველ შემთხვევაში — ზეტჷანჷში — მეორე ე დაიკარგა რედუქციის გამო, ხოლო დანარჩენებში — პირველი ჯ ან ე). მაშასადამე გამოდის, რომ აქაც რედუქცია-ასიმილაციის შეხვედრასთან გვაქვს საქმე: *ზედჷკ-ან || *ზედჷკჷან > *ზედჷკჷან > ზეტჷან¹ (შდ. Яф. назв. дер. и раст., გვ. 772)...

მოგვეპოვება თუ არა ქართულში ამის მსგავსი მაგალითი?

5. ტეხა ზმნას თუ ვაწარმოებთ ნასახელარი ზმნის *ედ² ფორმანტით, მაშინ, ცხადია, ფუძისეული ე შეიკუმშება და

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ღონის ხ, კ'ართან ასიმილაციისთვის ალბათ ერთი პირობაც უნდა იყოს დაცული, ე. ი. შეხვედრილ (რედუქციის გამო) ღხ, ღჷ კომპლექსს წინ სხვა თანხმოვანიც უნდა უძლოდეს, როგორც ეს ზემოთ გვქონდა (ჩუზ. შთხუ, ლიშთხჷლ, ლიშთხჷი), რომ ასიმილაციას დაურჩეს ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დამსგავსება არ მოხდეს. ამას გვაფიქრებინებს ქვემოთხსენიანი „ზედჷკარ“ და ბალსზემოური „ლადჷნარ“ (< *ლა-+დაე-არ) 'სათხე, დასამწველელი') სიტყვები.

² ნასახელარი ზმნების შესახებ ჩვენ ცალკე (ეტიმოლოგიებში) გვექნება მსჯელობა და მაშინ შევებებით ამ ფორმანტსაც.

ტს კომპლექსო პოგეველინება, რაიკ ასიმილაციის ვანო ტე'ს¹ მოგვეყმს; ანიტომბა, რომ ქართულში ტეს'ს მელიო-პასივი ტელმა გვაქვს (შდ. აკ. შანიძე, ნასახელ. ზმნები ქართულში: ტფ. უნივ. მოაზბე, I, 89).

ნ. სვან. ღა-ჯიშ'ის ('ქსოვა') ფონეტიკურ ექვივალენტად ზემოდადგენილი წესის თანახმად ქართულში უნდა გვეკონდეს: ჯ'ს მაგიერ გ, ი'ს ნაცვლად v^2 და შ'სი—ს, ე. ი. *გვს, რამაც -აჲ³ სუფიქსის დათვით ჯერ ხმოვანი (v) დაკარგა და შემდეგ გ'ს ს'თან ასიმილაცია განიცადა და მოგვეცა ქსოვ (< *გვს + თჲ > *გს-თჲ)¹. ამის შესატყვისი მეგრ.-სვანურში მ-ჟ-აღა, ო-შ-ჟ

¹ ტს'სავან ტფ კომპლექსის მიღებაში უთუოდ ხელი უნდა შეეწყო ტფ'ს ჩვეულებრიობას ქართულში: „სიტყვა, ტყუილი, ტყვე“ და სხ.

² ჯერ განოსარკვევია ეს ი (ღლი-ჯიშ'-ში) ნანდვილად ძირეულია, თუ თანხმოვანთ გასაყარი, როგორც ამას მეგრულში ხშირად აქვს ადგილი; მაგრამ ეს ცალკე. მანამდე კი პირობითად დავტოვოთ ი'ს ძირეულობა.

✓-ოვ'ის სუფიქსობას ამტკიცებენ: 1. მისი გაქვევებულის სახით ხშირი არსებობა ზმნებში: „წოვა, ძოვ-ნ-ა, ჰოვ-ნ-ა, თოვა (შდ. ზემოთ გვ. 202), გლოვა, თხოვ-ნ-ა“... 2. ის, რომ იგი ძველს ქართულში ჯერ კიდევ ალბათ ცოცხალი ელემენტი იყო, როცა აწარმოებდა „ცრემლოვინ (ი'ე ბოლნ. 50₁); ცრემლო'ვ'ოდა (TP, III, ლდ₂); პეროვოდა (მ'რკზ IX, 20, ბენეშევიჩის გამოცემით); თესლო'ვ'ოდა (განოსლვათაჲ 9₂); მალლოვინ“ (ი'ე ბოლნ. 51₁, 60);... 3. ისიც, რომ სხვადასხვა ფორმანტებით წარმოების დროს იგი იკარგვის: კხ-ოვ-ნ-ა : კხ-ენ-ებ-ა; ქს-ოვ-ა : ქს-ელ-ი (ს. ჯანაშიას შენიშვნით); მი-ტ-ევ-ებ-ა : და-ტ-ოვ-ებ-ა... 4. მასდარის სუფიქსების სისტემა: -ამ:-ემ:-ომ || *-აბ:-ებ:-ომ || -ავ:-ევ:-ოვ (ამათ შესახებ დაწერილებით ცალკე) და უკანასკნელ ო. მეგრულ-სვანურში მისი უგულებელყოფა: გლ-ოვ-ა = ლი-გჟნ-ი = ნ-გარ-ა ('ტირილი'; პროფ. ა. შანიძის ჩვენებით); წოვა = წუალა [ძირია წ(ჟ)?]; შდ. Отнош. аѣх. яз., 46; Гр. др.-гр. яз., 150]; თხოვნა = თხუალა (ძირია: თხ) და სხვ. -ოვ რომ მართლაც ძირისეული ყოფილიყო, იგი მეგრულსა და სვანურში უსათუოდ იქნებოდა წარმოდგენილი.

³ ამგვარსავე დასკვნამდე მიხულა პროფ. აკ. შანიძე, როგორც ეს მასთან პირადად აზრის გაზიარების დროს გამოირკვა. ✓

გვაქვს, რომლის შ ძირი, აკად. ნ. მარის სამართლიანი შენიშვნით, ს^ს ეთანაბრება, მაგრამ არ არის ქართ. ქ მეგრულში წარმოდგენილი. მას ჩვენ არც მოველოდით, რადგანაც უკანა-ენისმიერი ბგერები (ს, ჰ, გ...) ანლაუტში, ციშლაუტების (ს, შ, ც...) წინ მდგომი, მეგრულს ნიადაგზე იკარგვის: ქს-ოფა = *ქშ-უაღა > შუაღა; კსენ-ება = *ხშინ-აფა > შინაფა; კცე = სჩე (ასეა ქანურში, მაგრამ მეგრ.-ში) > ჩე... (ამის შესახებ ცალკე გვექნება წერილი). ყველა ამის შემდეგ ჩვენ უმართებულოდ გვეჩვენება როგორც პ. ქარაიას, ისე აკად. ნ. მარის ქსოფა ზნასთან დაკავშირებული მსჯელობა (ОТН. аѠх. яз., 25).

7. პროფ. აკ. შანიძეს ძვ.-ქართულში ხმარებული შთაწინდებული (შთაბერა, შთაბეჭდილება, შთაქდა...) შე+ და პრეპოზიციებისაგან წარმომდგარად მიაჩნია, რასაკვირველია, ე^ს ამოვარდნითა და შდ^ს ასიმილაციით.

შეიძლებოდა ახალი-ქართულიდან თანაბარი მაგალითების საკმაოდ წარმოდგენა, როგორიცაა, ვთქვათ, ცადა ზმნისაგან მიღებული ცთი^ს (გამოცთა) და სხ., მაგრამ ესენი იმდენად ადვილი გამოსარკვევნი არიან, რომ მათ შესახებ ბაასით წერილის დატვირთვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია¹... ახლა ვნახოთ

ბ. ასიმილაცია თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ.

მაგალითები გვექნება ახალი-ქართულიდან. ძველი-ქართულის ენობრივი მასალა ახალში თანხმოვნის ამოჭარდნით საკმაოდ გამარტივდა; ამას ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ფონეტიკური მოვლენა (კერძოდ: ასიმილაცია) დაერთო და სიტყვაც შეიცვალა. აი ფაქტი:

1. ძვ.-ქართ. ხლდომა (გადოდა და ხლდებოდა: ს. ჯანაშია, ცხ. წმ. საბაასი, 18₃₉; შოყალს ხლდომით მათათა ზედა:

¹ რაც შეეხება „საბრკე“ სიტყვას, მიღებულს „სა-ფერკი“-საგან, მას ცალკე (ეტიმოლოგიებში) განვიხილავთ.

აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი, Свед. I, 25) ახალში სტომა || სთომა'დ იქცა, რასაკვირველია, ღ'ს გამოცლის შემდეგ.

2. ღრჭენს (ღრჭენსჲ კსილთაჲ: აღიშ. სახ., მათე VIII, 12; იღრჭენს კბილსა: იბ., მრკზ. IX, 18...) თანამედროვე ქართულში სჭენს'დ მოგვევლინა (ვჩუღავ კბილებ-დასჭენილ ძალღს: ქ. ლომთათიძე, II, 20₁; ასჭენს კბილებს: მისივე, ტ. I, 158₂₂)... ასეთივე გზითაა მიღებული, ვთქვათ, გურულში: მ ა გ ტ ა (= აკლდა; ძვ. საქართ., IV, 47₁₁); მრგტა (იბ., 47₁₅); განთა (იბ., 51, 58₁₃...) და სხვადასხვ., რომელთა ჩამოთვლა შორს წავვიყვანს.

მეგრულიდან მხოლოდ ერთ ცნობილ მაგალითს მოვიყვან, სახელდობრ დღეების ნომენებს:

3. თუთაშსა, თახაშსა, ჯუმაშსა, ცაშსა... (შდ. ქანური), რომლის გენეზისი პროფ. ი. ყიფშიძემ შშენიერად წარმოგვიღგინა: თუთაშ ('მთვარე'—ნათ. ბრ. ფორმას) + ღღა ('ღღე'); ცაშ ('ცა') + ღღა... აქედან ღ'ს გამოცლითა და ღ'ს შ'სთან დამსგავსებით მივიღეთ ზემოხსენებული სახელები (იხ. Гр. МИНГр. Яз., § 129 და ამ წიგნის შესახებ აკად. ნ. მარის რეცენზია, გვ. 5; შდ. Пол. аѳх. Яз., 33)... კმარა მსგავსი შემთხვევების ჩამოთვლა. ახლა განვიხილოთ

დ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ.

ვარგისი მაგალითი უნდა იყოს მხოლოდობით რიცხვში მოცემული

1. სვანური დაჯგუფ ('თხა'), რომლის გულ ნაწილი ალბათ მის კნინობითობის მაჩვენებელია, თუმცა სვანთ ეტსიტყვა კნინობითად არ ესმის (შდ. ჯემილ, დაშდუღ: იხ. ქვემოთ). მრავლ. რიცხვში-გულ ნაკვეთი ზოგიერთ კილოში ჩვეულებრივ იკარგვის და ასე გამოთქვამენ: დაჯნრ, დაჯრემ (ნათ. ბრ.; იხმარება, რასაკვირველია, დაჯღნ'რ'იც, უღკვღა—'უთხო')..., რაც გვაძღღევს საბუთს-გულ ფორმანტად მივიჩნით და *დაჯ ძირად გამოვაცხადლოთ. ამ უკანასკნელს ქართულში სემასიურად და ფონეტიკუ-

რადაც 'თხა'-სიტყვა ჰეარავს [ძვ.-ქართულითაც თხა გვაქვს: თხათა; მასთა სადგურა... ანს (ხანძთ., პე₁); აქედან: თხიერა (რხ. Др. гр.-р. сл., 10); ანაჲინ შიასსის ღუსთა ახალი თხიერთა ჰუელთა უუეთუ არა განსეთქის (sic)... თხიერნი... თხიერნი იგი წარწყმდიან... თხიერთა ახალითა შიასსისან (ადიშ. სახ., შ'რკ₃ II, 22; შდ. მათე IX, 17; ლკ. V, 37, 38)]. მაგრამ კითხვა იბადება. თუ როგორ შეიძლება ფონეტიკურად შევუთანხმოთ ერთერთს *დაჲ და თხა? ამ საკითხის გასაშუქებლად საქაროდ მიგვაჩნია შევევ-ზოთ სვანურსა და ქართულში არსებულ ხმოვანთა განრიგებას. ჩვენი ექსკურსი, ცხადია, მეტისმეტად მოკლე იქნება ამ შემთხვევაში (მას ცალკე დავუბრუნდებით), მაგრამ საყურადღებო აღსანიშნავია, ერთის მხრით, ის გარემოება, რომ როცა ქართ.-მეგრულში ხმოვანი ბოლოკიდურია, მაშინ იგი სვანურში ინლაუტად გვევლინება, რაშიაც ქვემოჩამოთვლილი მაგალითებიც დაგვარწმუნებს: დღე || დღა—ღა-დღე; მსე || მჟა—მიყ (დღემჟ 'სამზეო')... და თუ, მეორის მხრით, მხედველობაში მივიღებთ იმ ადვილად დასაშვებს (და ვგონებ, სწორს) მოსაზრებას, რომ ქართულშიაც სვანურის მსგავსად დღეს გარემოქცეული ხმოვანი ოდესღაც ინლაუტი უნდა ყოფილიყო, რომლის მშვენიერ საილუსტრაციოდ ძამ-ის მიგვაჩნია [შდ. დედაია, მამია, დაია...; სადაც -ის ფორმანტია; ძამ—ძირი (წოდებითში: ძამ-თ) > ძამ'დ და არა ისე, როგორც პროფ. ნ. მაის ესმის (Яф. про-исхож. абх. терминов родства, 1912, გვ. 429; შდ. ქართ. ერის კულტ. უბლი... „მნათობი“ 1925 წ. № 5-6, გვ. 295; ხოლო ხმოვანთა „მოძრაობისათვის“: -Заметки по яф. клинописям: ИРАИМК, III, Ленг. 1924, 298)] და უკანასკნელ, მესამე მხრით, ბევრით შესატყვისობასაც გავუწევთ ანგარიშს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ქართულში დღევანდელი თხა მის პირვანდელ *დაჲ სახიდან უნდა იყოს წარმომდგარი. მაშასადამე, თხა აღდგენილი სახით *დაჲ ყოფილა. სვანურს იგი უცვლელად შეუნახავს, ხოლო ქართულში მას „პერტურბაცია“ განუცლია: ჯერ ა ბოლოში გადაუტყორცნია (მეტა...

თესი) და შეხვედრილი ღკოჲს დამსგავსებია: * თჳს. მაგრამ, როგორც ცალკე წერილში გვეჩვენება აღნიშნული, ქართულის ბუნება თჳს კომპლექსს ვერ იგუებს და ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ იგი ძველს ქართულში თხს მართლწერით გვხვდებოდა. აქედან დასკვნა: სუან. * ღჳჳ და ქართ. თხს ფონეტიკურადაც შეესატყვისებიან ერთმანეთს, ოღონდ უკანასკნელი თუ „განხრილად“ გვეჩვენება, ეს იმიტომ, რომ წან ჯგერ მეტათესი და შემდეგ ასიმილაცია შეიწყინარა: * ღჳჳ > * ღჳჳ > * თჳს > თხს.

რაც შეეხება მეგრულს, მასში ეს სიტყვა ქართულიდან გაუმოტანილად უნდა აღეზაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება მისი ამ სახით არსებობა (მეგრ. თხს'ს ქართ.-ში * თხს შეესატყვისებოდა, როგორც ეს არის: ღდა — ღდე; ტუა --- ტუე; ბუა — მსე'ში... და თუ მართლაც ეს ასეა, მაშინ თხს-ეფ'ში (plur.) ღ'ს ფუძისეულად მიჩნევა საკითხის გადასინჯვას ზოიბოვს) ¹.

2. სუან. ღი-შეჟღი (ძირია: * შეჟღ; ღუ-შეჟღ 'დამბრჩეალი') = მეგრ. შეჟიღა || შეჟიღაფა და ქან. ოშეჟაღუ || ოშეჟიღუ ['ხჩობა'; ძირია: * შეჟიღ (< * შეჟღ). აქედან: შეჟიღერი ('ხჩობილი'), ჟა-შეჟიღა || ჟა-შეჟაღა (მცენარ.; სესხების გზით სუანურშიაც შესულა: ჟაშეჟუტა (არს. კონიზნ, მეგმ. ი ბალბ... ხორაჳ, 39) და სხ.]. ამის სემასიური და ფონეტიკური შეესატყვისი ქართულში * შეღ ძირი იქნება, ხოლო ზნა — * შეღსა, რედუქციით: * შეღსა. აქედან ნომენი: * სი-შეღ-იღი > შა-შეღ იღი ². ნამდვილად კი როგორაა ეს საიტყვა ძველს ქართ.-ში წარმოდგენილი? აღმოსტყვიეს კვანჩი და შეაშაჟეს იგი (აღნიშ. სახ. მათე XIII, 7; ლქ. VIII, 7); და მტერი... შაშაჟე წყალსა შინა (ძვ. სას. პ., რე 115-6); წყლით რღვნისა შიფილნი (TP, IV, 3, 43); ბაგისმიერი ბგერა თუ დაერთო, ეს გ'ც იკარგვის: შეიჟურა იგი და შეაშაობდა მას (აღნიშ. სახ., მათე XVIII, 28); შეაშაობდა

¹ ეგების რამე გენეტური კავშირი იყოს „თხა“-სა და „თხილუა“-ს (წყესვა) შორის, როგორც ამას არნ. ჩიქობავა ჰტიქრობს.

² ნშენიერი მაგალითია ჟ'ს გენეზისისათვის (ჟ'ს საკითხს ძველი ქართულის ძველებს მიხედვით ცალკე გავაშუქებთ).

მას (კიმენი, 333); შექმნა დეველთა შექმთობდა (ი. აბულაძით ვეფხ.-ტყ. 694₂)... ამგვარად, მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ძირად *შთგ უნდა მივიღოთ, შედარების გზით კი—*შუდ. როგორ შევათანხმოთ ერთუროს? იქნებ სხვადასხვა ძირია? თუ ერთიდაიგივეა, რად არის ასეთი სხვაობა? პასუხი გავსცეთ იმავე ძველი ძეგლებით: ჯერ ერთი—თ'ს ნაცვლად დიყო მოსალოდნელი. გვაქვს კიდევ: საცთურმან... შეაშდვის სიტყუაჲ (ადიშ. სახ., მათე XII, 22); აღმოსცენდეს ეკაღნი და შეაშდვეს იგი (ib., მ'რკ. IV, 7); ვაშს ეკაღთა... არა დაიშდენიან (TP, III, მ₂₈-29); რ'ნი შიშდგიღსა თაფთა თჳსთა შეიმთხუევენ (ib., LI)... და მეორეც — უთანხმოვანთა შუაა მოქცეული: და დააგდო გეცხდი იგი ტაძარსა მას და შივიღა და შიშუდიღ იბა (ადიშ. სახ., მათე XXVII, 5). მაშასადამე, ჩვენ მიერ აღდგენილი *შუდ-ობა სწორი ყოფილა; მას ძველი-ქართულიც აჯერებს. ამიტომ მიუღებელია აკად. ნ. მარის რწმუნება, რომ თითქოს *შგთ იყოს ძირი (ՄԹ, VII, 358, "შნშ. 1). მაგრამ ზემოდასმული კითხვისთვის—შთგ და *შუდ'ის ურთიერთობის შესახებ—ჯერაც არ გავეიცია პასუხი. ექვს გარეშეა, რომ პირველი უკანასკნელისგანაა მიღებული, რასაკვირველია, ბგერათგადასმითი გზით: შდგ (< *შდჳ¹; -ჳ ხომ რედუქციაქმნილი უ'ა. შეკუმშვა, ცხადია, მეტათესამდე განიცადა. ადიშის სახარების გადაწერის დროს მას, როგორც ჩანს, მეორე საფეხურიც (ასიმილაცია) განვლილი ჰქონია...). ამის მაგალითები ზემოთ ვნახეთ. შდგ'ს რომ შემდეგში ასიმილაციით შთგ მოეცა, აქ გასაკვირი არაფერია. დასკვნა: ძველსა და მით უმეტეს საშუალო-ქართულში ხმარებული შიშთფიღი, შთგბა და სხ. წარმოდგარია მისი პრიმარისახის ში-შუდ-იღი, შუდობა და სხ. სიტყვიდან. მან ორი ფონეტიკური მოვლენა შეითავსა: მეტათესი და ასიმილაცია.

ახლა გადავიდეთ უფრო რთულ პროცესზე, სადაც ორის მაგიერ სამი ბგერითი მოვლენა იყრის თავს; ეს ვახლავთ

¹ გადასმის შემდეგ ჳ გამოთქმის მხრით ალბათ ძალიან ახლოს იდგა ვ'სთან, თორემ სხვა პირობებში მისი (ჳ'ს) არწერა გაუგებრობად (შეცთომად) უნდა ჩაითვალოს.

მ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ესეც შედარებითი გზით გამოიწვლილება.

1. სვანური დტხეღ (შედარებითი ხარისხით: ხო-დტხეღა 'თხელი') მიღებულია *ღტხ (< *ღთხ) ძირისაგან -ეღ სუფიქსის დართვით. უკანასკნელი (-ეღ ბოლოსაართი) თუ ქართულისაგან არ არის შეხიზნული (მისი ქართულობა ადვილად დასაშვებია), მაშინ სვანურს ნიადაგზე უნდა აიხსნას (შდ. ჟჷინ-ეღ 'ძველი'). ამის ფონეტიკურ შესატყვისად მეგრულში, როგორც მოველოდით, თითხუ¹ გვაქვს, ხოლო ქანურში—თითხუ, თუთხუ, თუთხი. ქართულში კი ბგერთი ექვივალენტების დაცვით *ღვტხ² უნდა გვქონოდა, ნამდვილად თხუ-

¹ რაც შეეხება მეგრულშივე ხმარებულს „თხითხუ“ ფორმას, ე. ი. პირველ მარცვალშიაც ხ'ს გამოყენებას, უნდა ვთქვათ, რომ იგი, როგორც ი. ყიფშიძეს სამართლიანად შეუნიშნავს, მეორე მარცვლიდანაა გადმოსული (შდ. „ცხოვრებალი, შხაში... Гр. мнгр. яз., 07, § 3, 1).

² გამოდის, რომ სვანურშიაც და ქართულშიაც ერთიადიგევე (*ღტხ || *ღვტხ) სახე გვქონია, რაც, ამ შემთხვევაში ფონეტიკური კანონზომიერების დაუცველობის გამო, მიუღებელია. ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ სვანურმა (რომელშიაც *ღვტხ < *ღგვტხ უნდა ყოფილიყო) იგი ქართულისაგან (*ღვტხ) ისესხა, მაგრამ ამას ვერ ვამართლებთ, რადგანაც სვანური თუ ისესხებდა, ისესხებდა მას -ეღ სუფიქსით, რა დროსაც ქართულში დ-თ'ს შორის ხმოვანი შეღძვლებულია ყოფილიყო (სვან.-ში ხომ „ღტხელ“ არის, ქართულში კი *ღტხელ || *თთხელ იყო!). ჩვენის მოსაზრებით, რაც კეკელთან ახლოა, სვანურს იგი *ღღტხ“-ს სახით მაშინ უნდა გადმოეტანა მეგრულიდან, როცა ამ უკანასკნელშიაც *ღღტხ იქნებოდა, ხოლო შემდეგში -ეღ ფორმანტის დართვით ღღტხელ მოგვცა. რომ მეგრულში ქართ.-სვან. დ'ს შესატყვისად დ უნდა ჰქონოდა, ამას მრავალი ფაქტი უქერს ნხარს, მაგრამ თუ იგი დღეს თ'დ მოგვევლინა, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ; კერძოდ კი: „თუნთ'სა, თუთა'სა, თითბ'სა“ და სხვ. მისთანებში პირველი მოსალოდნელი დ'ს დაყრუება (დ > თ) მომდევნო თ'ს ზეგავლენას უნდა მიეწეროს, როგორც ეს პროფ. აკ. შანიძემ მოხსენებით გამოწვეული მსჯელობის ეამს აღნიშნა.

ჯი მოგვეპოვება. საიდან? ცხადია *ღვას'საცან. თსქელ'ში ადგი-
ქტივობის მაჩვენებელი ექვ სუფიქსია (შდ. კმ-ელი — კმ-ობა;
გრძ-ელი — გრძ-ობა, სი-გრძ-ე; სქ-ელი — უ-სქ-ეს-ი, სი-სქ-ე;
წით-ს (ცაბ) — წით-ელი; ვრც-ელი — სი-ვრც-ე; კურ-ელი —
კურ-ეტი და სხვ.), რომლის მიმატებით *ღვას'ში ხშოვანი (V)
რედუქციის გამო ამოიღებოდა და *ღთსელ საბეს მოგვექმდა. უკა-
ნასკნელი კი ასიმილაციით *თთსელ'ად იქცეოდა; და თუ მოვი-
გონებთ ქართულინათვის დამახასიათებელ წესს, რომ ორი თა-
ნაბარი თანხმოვნიდან ერთი იკარგვის, მაშინ ჩვენთვის ნათე-
ლი წარმოსადგენია თანამედროვე და თუნდაც ძველს ქარ-
თულშივე გავრცელებული თსქელ'ის (ხელთ იკ... კორცათა
თსქელ: გრგ. ხანძთ. ბგვ) *თსქელ'იდან წარმოშობა. ამ გვეა-
რად, თსქელ'ის ისტორია თვალსაზრისად ასეთია: *ღვას (ძირი) +
ქელ-ი (ადგიქტ. სუფ.) > *ღთსელი > *თთსელი > თსქელი. რომ ჩვენი
მოსაზრება სწორია და ასეთი რისამე დაშვება შესაძლებელია,
ამაში მეორე მაგალითით დავრწმუნდებით.

3. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ამის მაგალითად და ზემოთქმულის პრეცედენტად ძველი-
ქართ.-ის თთუე გვეჯულება, რომლის ისტორია მეგრულ-სვა-
ნურის მეოხებითა გაიგება.

1. სვანური დოშდუჯ ('მთვარე') კნინობითი ფორმითაა
წარმოდგენილი, სადაც კნინობითობის მაჩვენებელი -უჯ სუ-
ფიქსი ახალი მინაღები უნდა იყოს. მისი არაძირეულობა
და შედარებით ახალი წარმოშობა მტკიცდება ამ სიტყვის ძვე-
ლიდანვე შემონახული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, სადაც
მას ადგილი არა იქვს; ეს გახლავთ დღის სახელწოდება დო-
შდიშ (დოშდიშ, დოშტიშ, დეშდიშ, დეშტიშ — დიალექტური ვარი-
ანტები: Извл. СВ.-р. Сл., 22), რაც სიტყვა-სიტყვით
'მთვარისა' იქნება და ისე კი 'ორშაბათ'ს ნიშნავს (შდ.

ჟორმით მსგავსი კვშსშ—‘ფერკისა, ფერხული’, ხოლო სემასი-ურად მეგრ.-ქან. თუთაშსა || თუთაჩსა—იხ. ბ, ვ). ნათესაობით ბ.უნვაში მოქცეული დომში კი საშუალებას იძლევა, რომ ძირად *დომი (+აშ—ნათ.ბრ. ფორმანტია) მივიჩნიოთ და მეგრ.-ქან.-ში დაცული მისი კანონზომიერა ფონეტიკური ექვივალენტით, როგორცაა მაგ. თუთა (< *დუთა), შევამაგროთ: ამათ შესატყვისად ქართულში, თუ, რასაკვირველია, ზემომოყენილი შედარების მონაცემით ვიხელმძღვანელებთ, უყოყმანოდ *დუთ-ე უნდა გამოვაცხადოთ, რომლის მსგავსი, მართალია, ჯერ არსად ძეგლებში არ შეგვხვდრია, მაგრამ ასეთი რისამე არსებობას ძველი-ქართ. თუჟე ერთის მხრით და მეორის მხრით მეგრ.-სვან. თუთა (< *დუთა) და *დომი გვაფიქრებინებს. ძველი-ქართ. თაჟე‘ს კი შემდეგი მაგალითებით შევაჯერებთ: ესე შექქესე თთვე არს (ადიშ. სახ., ლკ. I, 36); გიორგაწმალაბისა თთუჟე რაჲ დადჟეს (ხანძთ., იზ₂₁); თთუჟს იანვარსა (კიშენი, 106₂₁; 111₁₆); თთუჟსა მიჭრანასასა... (TP, IX, 13₁₀); თთუჟს მას...მაიუღანს (ლკ. I, 26); ადესრუღნეს ვქესსა თაჟენი (№ 1147, 10 ბ²) და სხ. ახლა კითხვა ისმება, თუ რა ურთიერთობაა *დუთე‘სა და თაჟე‘ს შორის? ჩვენ გვგონია, რომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, რასაკვირველია, პირველი ბგერითი მოვლენის გამორიცხვით, როგორც *ღვთხ‘სა და თსედ‘ს შუა იყო, ე.ი. უკანასკნელი (თაჟე) პირველისაგან (*დუთე) არის მიღებული ჯერ მეტათესითა და შემდეგ ასიმილაციით. თვალსაჩინოდ რომ გავხადოთ ეს, შემდეგნაირად შეგვიძლია მისი განვითარების საუბუხურები წარმოვიდგინოთ: *დუთე > *დუთე > თაჟე; ბოლო სახე კი ძველი-ქართულითაც დავადასტურეთ. მაშასადამე, აკად. ნ. შარის მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნას იმდენად, რამდენადაც მას ძირად *აჟთ¹ მიაჩნია და არა

¹ აკად. ნ. შარის მიერ აღდგენილ *თჟთ ძირს თითქოს ძველი-ქართულიც უმაგრებს ზურგს, სახელლობრ ადიაშის სახარებაში იკითხება: „და იმაღვიდა თავსა თჟსსა ხუთ თჟთ ე და თჟუა“ (ლკ. I, 24), მაგრამ ეს ჩვენ უბრალო lapsus calami-დ მივიღეთ.

*დუთ-ე (Др. гр.-р. сл., 10; შდ. Опр. Ах.², გვ. 64, § 65). არც პროფ. ი. ყიფშიძეა მართალი, როცა იგი ორი თ'ს თავმოყრას (თთუე'ში) მათ შუა მოქცეული ხმოვნის თითქოს-და გამოცლის (ვაშაფარდნის) შედეგად თვლის („ასიმილატ. და დისიმილატ. წესი“...: ტფ. უნივ. მოამბე, I, გვ. 3).

✓ ამგვარად, ძვ.-ქ. თთუე ორი ბგერითი მოვლენის წყალობით არის *დუთე'საგან მიღებული: ჯერ მეტათესითა და შემდეგ ასიმილატით. მაგრამ პროცესი ამაზე როდი შეჩერებულა: მან საერთოდ ქართულისათვის დამახასიათებელი წესიც, რომლის მიხედვით ორი თანაბარი თანხმოვნისაგან ერთი იკარგვის, შეიწყნარა, და სიტყვა გამარტივდა, ერთ თ'მდე დავიდა. ერთ-ერთ თ'ს გაქრობას კი დასაბამი ძველსავე ქართულში მიეცა; იქ ვკითხულობთ: სამ წელ და ექუს თუე (ლკ. IV, 25); თუესა მარტსა (TP, IX, ავ₂); ნოემბრისა თუსა დადგეთაგან (ხანძთ., იზ₃) და სხ.; მაშასადამე, ახალი-ქართულის თუე (ძვ.-ქ. მართლწერით: თუე) < თთუე'საგან ერთი თ'ს დაკარგვით, ხოლო უკანასკნელი, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, < *დუთე'საგან. აქედან დასკვნა: თუე რომ *დუთე'საგან მიგვეღო, საჭირო ყოფილა სამი ბგერითი მოვლენის შეხვედრა, მათი მოქმედების თანამიმდევრობის დაცვა: მეტათესი + ასიმილატია + ბგერის დაკარგვა. ამდენადვე ჩვენი სათაურიც გამართლებულია. ✓

რაც შეეხება *დუთე'ს სემასიურ მხარეს, უნდა ვთქვათ, რომ მას ქართულში ოდესღაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც დღეს მეგრ.-ქან. თუთა'სა აქეს, ე. ი. იგი მატარებელი იქნებოდა როგორც 'მთვარის', ისე 30 || 31 დღის (მთვარის მოქცევის, 'თვის') სახელწოდებისა, მაგრამ პირველი შინაარსი (მნათობის სახელი) ქართულში მას წაართვა თოფა ზმნისაგან ნაწარმოებმა მთოფარე (ახ.-ქართ. > მთვარე) მიმღეობამ (მთოფარემან არა გამოსცეს ხათელი თუსი: მთ. XXIV, 29; მ'რზ. XIII, 24; იუოს სსსწაუდი მჭესა და მთოფარესა: ლკ. XXI, 25), ხოლო მეორე მნიშვნელობისაგან ('თვის',

30 || 31 დღის, ნომენისაგან) სვანურში იგი დაცალა ქართულიდან შექრილმა თჟე სიტყვამ (შდ. Опр. Ах²., § 65; ნ. მარტი ცთება, რომ მას სვან. თრჳ, თრ, თგვ [მისი მაგალითებია] ბოლო თ მოკვეცილად მიაჩნია); მეგრულ-ქანურში კი მისი პრიმარული შინაარსი დღემდე შემოინახა.

ახლა გვრჩება ერთი საკითხი, რომლის გადაქრას ჩვენი უკანასკნელი მაგალითების განსამტკიცებლად მნიშვნელობა აქვს. კითხვა ეხება ისევ ძველი-ქართ. მართლწერით დაცულ თხელ'სა და თთუე'ს: რატომ არის, რომ უკანასკნელი ორი თ'ანითაა ძველს ძეგლებში დადასტურებული და ჩვენთვის მოსალოდნელი და აღდგენილი *თთხელი კი მუდამ ერთი თ'ანითაა (იმავე ძეგლებში) გადმოცემული? განსხვავება დროში უნდა ვეძიოთ. ჩვენ გვგონია, რომ თხელ'ში ორი თ'ს წარმოშობა და ერთი მათგანის დაკარგვა იმ დროს უნდა განეკუთნებოდეს, როცა მწერლობა ან ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ან სულ არ არსებობდა. მწერლობის დაწყების ჟამს ალბათ იქ ორი თ არ ისმოდა და ამიტომ, ცხადია, გრაფიკულ გამოხატულებასაც ვერ იპოვიდა. ხოლო თთუე სახე კი შედარებით გვიან, ყოველ შემთხვევაში მწერლობის დაწყების ეპოქაში, მიღებული უნდა იყოს და ამის გამო მისი ორი თ'ც დაზღვეული აღმოჩნდა.